

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის, კახა თედორაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 5 ივლისი, 2019 წელი 12.00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე**, მაჟორიტარი დეპუტატი ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **კახა თედორაძე**, მერის წარმომადგენელი ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **გოჩა დოლიძე**, მერის წარმომადგენლის სპეციალისტი ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **დავით რუსიძე**, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრაღიძე**, და საკრებულოს წევრის ამომრჩევლები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვლადიმერ ნანაძემ** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას ამომრჩევლებს. რომელმაც განაცხადა, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატი **კახა თედორაძე**, არის აქტიური დეპუტატი, ის რეგულარულად ესწრება და მონაწილეობს საკრებულოს, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში, მას ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩეველთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

დეპუტატმა **კახა თედორაძემ**, საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში. ასევე მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მას საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა თავის ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) რომელთა ძირითადი მოთხოვნები შეეხებოდა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მან არაერთ მოქალაქეს გაუწია შუამდგომლობა მედიკამენტების, თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში.

დეპუტატმა, **კახა თედორაძემ** განაცხადა, რომ ის აქტიურად იყო და არის ჩართული საკრებულოს, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში, სადაც განხილულ

□□დამტკიცებული იქნა სხვადასხვა სამართლებრივი აქტი. კოლეგებთან ერთად იმუშავა 2019 წლის მთავარ საფინანსო დოკუმენტზე, რომელშიც აისახა როგორც განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე სხვადასხვა საჭიროების სოციალური პროგრამები. ყველა ის საკითხი რომელიც მოსახლეობას აწუხებდა და პრობლემურია, დღემდე რჩება ბევრი ისეთი საკითხია გადასაჭრელი, რომელიც მოსახლეობის ყოველდღიური კომუნიკაციის დროს ჩნდება, ასევე ყურადღება გაამახვილა საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

დეპუტატმა **კახა თედორაძემ** ყურადღება გაამახვილა საანგარიშო პერიოდში შესრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ინფორმაცია მიაწოდა მოსახლეობას: ღრმაღელის საბავშვო ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, სოფ, ომფარეთში აშენდა თანამედროვე სტანდარტის სკოლა, სადაც ბავშვები დაწყებით განათლებას მიიღებენ. ასევე ისაუბრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე. ღრმაღელეში, ომფარეთსა და ორმეთში მოეწყო გარე განათება, ხოლო წყალწმინდაში შეიღობა სტადიონი. რეგიონული ფონდის დაფინანსებით განხორციელდება წყალმომარაგების პროექტი, რომლითაც 122 ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი.

ასევე ისაუბრა შრომა-ომფარეთისა და ღრმაღელე- წყალწმინდის შემოვლითი (ძველი) გზის რეაბილიტაციაზე. დეპუტატის თქმით დასასუფთავებელია წყალწმინდის ზღვის სანაპირო და მოსაგვარებელია წყლის და გზის პრობლემა, ასევე წყალწმინდის რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე ძველი გზის აღდგენა, რომელიც აკავშირებს ზღვას. დეპუტატმა ასევე განაცხადა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომის და ღრმაღელის თემის სოფელ წყალწმინდის საზღვრების დადგენა.

დეპუტატმა ღრმაღელის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ ესაუბრათ მათი პრობლემების შესახებ.

სოფლის მკვიდრმა **ნარგიზ აფხაზავამ** განაცხადა, რომ სურსათის უვნებლობის სამსახური ითხოვს სანაგვე ურნას, რათა განთავსდეს ნარჩენები, ასევე მისი თხოვნა საბავშვო ბაღს შეუძინონ ეზოს სათამაშოები.

მოქალაქეები ითხოვს, რომ სოფელში გაკეთდეს ამბულატორია და ასევე დაინტერესდნენ თუ როდის დაიწყება სოფელში გაზიფიცირება.

დეპუტატის თქმით გაზიფიცირების პროექტი არის დამთავრებული და მიმდინარე წელს დაიწყება ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვლადიმერ ნანაძემ** ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატს **კახა თედორაძეს** და მოსახლეობას დაპირდა ამ პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებას.

ადგილობრივების მხრიდან მთავარ პრობლემად რჩება: გზების მოწესრიგება, სანაგვე ურნის განთავსება, ამბულატორიის, საბავშვო ბაღის ეზოში სათამაშოების, სასმელი წყალის მოწყობა და ყვავილნარში ზღვის სანაპიროს დასუფთავება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა **კახა თედორაძემ** მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის მოსახლეობას, აღუთქვა დახმარება და პრობლემების ეტაპობრივად მოგვარება.

მადლობა გადაუხადა საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

პატივისცემით,

კახა თედორაძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები

